წამები, წამები...

ლენინგრადი. კიროვის სახელობის სტადიონი. 25 აპრილი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) _ “დინამო” (თბილისი) _ 1:1 (0:1).

“ზენიტი”: შაპოვალენკო, ბულავინი, გოლუბევი, ლოხოვი, მასლოვი, სადირინი, კოხი, ვიუნი, ბურჩალკინი, ნიკოლსკი (პოლიაკოვი), უნანოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე (სტეფანია), კანთელაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხინჩიგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, მაჩაიძე, გავაშელი, მჭედლიშვილი, ლ. ნოდია (ილიადი).

მსაჯი: ე. ჰიარმსი (ტალინი).

დუბლიორები _ 1:0 “დინამოს” სასარგებლოდ. გოლი გაიტანა ვერულავამ.

აშკარად არ წყალობს ბედი წლევანდელ ჩემპიონატში თბილისის “დინამოს”. თავად განსაჯეთ: როსტოვში თამაში იწურებოდა, როცა არმიელებმა შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა. ასევე მოხდა დონეცკში. აქაც თავდებოდა მატჩი და პოლიპჩუკმა შეძლო ქულა ეხსნა “შახტიორისთვის”, თუმცა თბილისელებმა მეორე ბურთი გაიტანეს და მოსკოველმა მსაჯმა ვ. ლიპატოვმა იგი არ ჩათვალა იმის გამო, რომ მის წამმზომზე 4 წამი იყო გადაცილებული 90 წუთს.

ახლაც, ლენინგრადში, დინამოელები “ზენიტს” უგებდნენ ანგარიშით 1:0 და მასპინძლებმა წაგებას თავი დააღწიეს, როცა მატჩის დამთავრებას სულ რაღაც 5 წამი აკლდა. ჰიარმსმა თამაშის განახლება ვერც მოასწრო. ეს წამები რაღაც არ გამოდის ჩვენს სასარგებლოდ...

“ზენიტისთვის” ახლა თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან გუნდი აუტსაიდერთა შორისაა და ჯერჯერობით უმაღლესი ჯგუფიდან გავარდნის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია. ამიტომ ლენინგრადელებმა ყველაფერი იღონეს, რათა წარმატებისთვის მიეღწიათ თბილისის “დინამოსთან”, რომელიც განახევრებული შემადგენლობით თამაშობდა ნაკრებში 5 წამყვანი ფეხბურთელის გაწვევის გამო.

“ზენიტმა” აქტიურად ჩაატარა პირველი ტაიმი და ბევრი სახიფათო მომენტი შექმნა სტუმრების კართან. აქ საუცხოოდ ითამაშეს კოტრიკაძემ და მცველებმა, რომლებმაც შეძლეს კარის უხიფათობის შენარჩუნება. სამაგიეროდ, შედეგიანი გამოდგა დინამოელთა შეტევა. დასაწყისშივე, მე-7 წუთზე, საჯარიმო დარტყმიდან მოწოდებული ბურთი შეუჩერებლივ გაგზავნა კარში ლ. ნოდიამ _ 1:0.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა უკეთ ითამაშეს და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან. მაგალითად, გავაშელი, მჭედლიშვილი, ლ. ნოდია პირისპირ დარჩნენ შაპოვალენკოსთან და ვერ გამოიყენეს ეს საუკეთესო შესაძლებლობანი.

გოლი “ზენიტმა” მაინც გაქვითა ასეთ ვითარებაში: 70-ე წუთზე კოტრიკაძე დაშავდა. სანამ მას დახმარებას უწევდნენ, მსაჯმა წამზომი გამორთო და 3 წუთი დაუმატა მატჩის დროს. აი, ამ დამატებით დროში შეძლო უნანოვმა ბურთის გატანა.

როგორც მოგახსენეთ, ჰიარმსს ცენტრიდან არ განუახლებია თამაში...

გ. ბოლქვაძე (ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 28 აპრილი, 1970 წ.